პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი

03.09.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები - საერთაშორისოს“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე - საჯარო სამართლის კორპორაციის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი – პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
თამარ მახარაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
კახაბერ ერაძე - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი;
ნანი დალაქიშვილი - მოდულური პროგრამების დანერგვის კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - ლაშა ვერულავა, თამარ შალვაშვილი;
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ - მათე ტაკიძე, ნოდარ მეგრელიშვილი;
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ - ნონა ღუდუშაური, ნანა ნამგალაძე, დავით უგულავა;
სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ - ნინო ბაკურაძე;
სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ - ფრიდონ ბუაძე;
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ - მალხაზ ასლამაზიშვილი, დავით პაპაშვილი;
ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ - რუსუდან ჩართოლანი, ლია ვაშაკაშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკატერინე გიგაშვილი;
მაყვალა დარსანია;
ელენე გვენცაძე;
მარინა გოგოლაძე;
თეა ნადირაძე;
შორენა ჯაფარიძე;
ნატალია ბარათელი;
თამარ რემიშვილი.

სხვა დამსწე პირები:

დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

საბჭოს სხდომა 11:40 საათზე დაიწყო. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ერქვანისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ექსპერტი ეკატერინე გიგაშვილი მიდიოდა ავტორიზაციის ვიზიტზე და აქედან გამომდინარე სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ ფაზისის“ საკითხი მეორე საკითხად განეხილათ. ამასთან ლევან მადათოვმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 სექტემბერს №112/ნ ბრძანებით შესული ცვლილება, რომლის თანახმად:

„ავტორიზებული დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევაში საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია განიხილოს ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილი დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტს საბჭო მხედველობაში იღებს იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტის დაკმაყოფილების დადასტურება შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების გარეშე და აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს ექსპერტთა ვიზიტის დამთავრებამდე დაწყებული პროცესის დასრულებას, რაც ასახულია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და/ან ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში.“

დღის წესრიგი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.
3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.
4. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.
5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ერქვანისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.
6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.
7. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომაზე სიტყვა ითხოვა დანიელ დავითაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგადად მიესალმებოდა მოდულური პროგრამების დანერგვას თუმცა, პროგრამების პილოტირება წინა წელს უნდა დაწყებულიყო. დანიელ დავითაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ მას გასაჩივრებული ჰქონდა მინისტრისა და ცენტრის დირექტორის ბრძანებები. მან განაცხადა, რომ სურდა საბჭოს წევრების ინფორმირება, რადგან კოლეჯები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ მოდულური პროგრამების ამ ეტაპზე დაწყების შემთხვევაში და იმედოვნებდა, რომ საბჭო მხედველობაში მიიღებდა ამ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების დროს.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა, უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული განცხადების მიმართ და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, განმცხადებლის მიზანი და მუქარანარევი ტონი.

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. მამია ჯანჯალიამ დააფიქსირა აცილება. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკატერინე გიგაშვილმა წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ითხოვდა სამი პროგრამის დამატებას. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა 1.1 სტანდარტზე: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შემოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

„დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ პროგრამებში (ბრძანება 1/346) შეტანილი იყო ცვლილება - ბრძანება N1.1/361 25.08.2015, რომელიც მოიცავდა:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანართში ცენტრში წარდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო სრულად მითითებული განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციები, რაც ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ სრულყოფილად წარმოადგინა;

ასევე განხორციელდა ცვლილებები სამივე საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში (დანართი 3.5 პუნქტის ნაწილი 1, ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილი, რაც დაწესებულებას ჰქონდა პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამივე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდული - „გაცნობითი პრაქტიკა“ ხორციელდებოდა საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტების მოდულებამდე. მოდულური პროგრამების რეკომენდაციების თანახმად, გაცნობითი პრაქტიკა რეკომენდებული იყო სავალდებულო პროფესიული მოდულების განხორციელებამდე. დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დარგის სპეციფიკისა და სტუდენტის მიერ სავალდებულო ცოდნის ფლობის გათვალისწინებით დაწესებულებას ჰქონდა თავისი ხედვა და დასაბუთებული არგუმენტაცია „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის საწარმოო პრაქტიკამდე განხორციელების თაობაზე.

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფორმატით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა ამ ეტაპზე, პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე, სადაც მოხდებოდა გაცნობითი პრაქტიკის, სასწავლო პრაქტიკისა და საწარმო პრაქტიკის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურება“;

მატერიალური და ადამიანური რესურსების ნაწილში, ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, მოითხოვა თუ არა კოლეჯმა სტუდენტების რაოდენობის გაზრდა. ექსპერტმა უპასუხა, რომ 84 სტუდენტზე იყო მოთხოვნა და ბაზა საკმაოდ ძლიერი ჰქონდა კოლეჯს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, სურდათ კონტინგენტის 164-ით განსაზღვრა, თითოეულ პროგრამაზე - 56 სტუდენტის ოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (ს/კ: 205300048) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040165	75	III	56
2	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040163	85	III	56
3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040160	78	III	56

2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ფაზისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკატერინე გიგაშვილმა წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო და კოლეჯს ჰქონდა ერთ-ერთი საუკეთესო აღჭურვილობა საქართველოს მასშტაბით.

თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი, დაინტერესდა კოლეჯის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოლარის პროგრამაზე სურდა კონტინგენტის 20 სტუდენტით განსაზღვრა, თმის სტილისტზე ორ ცვლაში სწავლების პირობებში 10-10-ით, საკერავი მანქანების ოპერატორის პროგრამაზეც ორ ცვლაში სწავლების ფარგლებში 10-10 სტუდენტით.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, დასკვნაში ნახსენები შესყიდვების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები სრულად თუ ჰქონდათ წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დოკუმენტაცია სრული სახით წარმოადგინეს რომელიც დაერთო საქმის მასალებს.

საბჭოს წევრი, ირაკლი პეტრიაშვილი, დაინტერესდა პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტთა გადაყვანას რა მექანიზმებით დაარეგულირებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ მემორანდუმები ოზურგეთის, გორის, ბათუმის კოლეჯებთან, ასევე კოლეჯ იბერიასთან, შესაბამისად, სტუდენტების უფლებები დაცული იყო და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში არ დაზარალდებოდნენ.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა ავტორიზაციის მიღების დროს თუ იყო დასკვნაში ასახული ამ მექანიზმის შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ ასახული დასკვნაში აღნიშნული ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ფაზისისათვის" მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ფაზისისათვის" თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ფაზისისათვის" საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	მოლარე	მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020154	71,5	III	20
2	თმის სტილისტი	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	79	III	20
3	საკერავი მანქანის ოპერატორი	საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040961	77	III	20

3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ელენე გვენცაძემ წარმოადგინა. მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მოხდა ტექნიკური ხარვეზის გასწორება - კერძოდ, დაზუსტდა, რომ უცხო ენაში იგულისხმებოდა ინგლისური. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მემორანდუმი იყო გაფორმებული სხვა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსთან“, რომელიც იმავე პროგრამას ახორციელებდა.

ექსპერტმა ყურადღება მატერიალურ რესურსზე, კერძოდ 2.1 სტანდარტზე გაამახვილა. მან აღნიშნა, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსის (მესამე საფეხური) საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ზოგადი სავალდებულო, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი პროფესიული მოდულების განსახორციელებლად კოლეჯში გამოყოფილი იყო ორი აუდიტორია (119, 221) 119-ე აუდიტორია (60 კვ. მ.) ითვალისწინებდა სასწავლო გარემოს A,C მოდელს. სასწავლო გარემო სპეციფიკური იყო, ერთ ლაბორატორიაში ორი ფუნქციონალური ზონა იყო. აუდიტორია მდებარეობდა პირველ სართულზე, მოწყობილი იყო ორივე გარემოს შესაბამისი ინვენტარით. თუმცა, საზეინკლო მაგიდები (15 ცალი), ბოილერი და ხუთი მაგიდა დასაწყობებულ მდგომარეობაში დახვდათ, მაგიდები სწავლის დასაწყისისთვის განთავსდებოდა აღნიშნულ აუდიტორიაში.

ექსპერტის თქმით, ადამიანური რესურსების ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. დაწესებულება ითხოვდა 30 სტუდენტის დამატებას ორი ცვლის მუშაობის რეჟიმში, თითოეულზე 15-15-ის ოდენობით. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ კოლეჯი აღჭურვილი იყო მაღალი დონის საწარმოო პრაქტიკის ლაბორატორიით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრისათვის“ ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ზეინკალ-სანტექნიკოსი	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	85	III	30

საბჭოს სხდომაზე 12:26 საათზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 12:57 საათზე.

4. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, თეა ნადირაძემ წარადგინა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში ავტორიზაციის ორდღიანი ვიზიტი განხორციელდა, რომლის შედეგადაც დადგინდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების მიერ პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის ფლობის და ადგილზე განთავსების ფაქტს. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების გამოცდილება, შესაბამისად, მფლობელობაში უკვე გააჩნდათ საჭირო ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების მიერ განსახილველად წარმოდგენილი პროგრამებიდან იყო თუ არა რომელიმე ისეთი, რომლის განხორციელებისთვისაც დაწესებულებას არ გააჩნდა შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პასუხად ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში ასახული მატერიალური რესურსი შესაბამისობაში იყო იმ პროგრამების მოთხოვნებთან, რომლის განხორციელებაც დაწესებულებას სურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს განუცხადა, რომ, როგორც დასკვნის გაცნობისას აღმოაჩინა, გარკვეული რაოდენობის ინვენტარს ჰქონდა მინიჭებული საინვენტარიზაციო კოდები, ზოგიერთს კი - არა. თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ საუბარი იყო ბოლო 87 ერთეულზე. ექსპერტმა განმარტა, რომ ინვენტარიზაციის ცხრილები ვიზიტის დროს, ორი დღის განმავლობაში გაკეთდა. მისი თქმით, მოდულური პროგრამის შეფასება საკმაოდ დიდ დროს საჭიროებდა და მისი აზრით, ორი დღის განმავლობაში 10 პროგრამის სრულად ასახვა წარმოუდგენელი იყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დასკვნაში ასახა მხოლოდ იმ რესურსის ინვენტარიზაციის კოდები, რომელთა შემოწმებაც მოასწრო, დანარჩენ შემთხვევაში კი ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების არსებობა მიუთითა, რაც მატერიალური რესურსის არსებობას ადასტურებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის საკითხი დააყენა. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ მატერიალური რესურსის რაოდენობიდან გამომდინარე, თითოეულ ჯგუფში, ფილამწყობის პროგრამაზე - 15, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროგრამაზე - 8, ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის პროგრამაზე - 14, სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის პროგრამაზე - 10, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამაზე - 12, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროგრამაზე - 15, თექის ოსტატის პროგრამაზე - 12, ბუღალტერ-ტექნიკოსის პროგრამაზე - 20, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის პროგრამაზე - 40 სტუდენტი და ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება იყო შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სტუდენტების დამატებისთვის დაწესებულებაში ყველანაირი პირობა იყო უზრუნველყოფილი და დაწესებულება თითოეულ პროგრამაზე სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაორმაგებას ითხოვდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვები, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ ვიზიტის პროცესით კმაყოფილება გამოთქვა, აღნიშნა დაწესებულების პერსონალის განსაკუთრებული მოტივირებულობის შესახებ და პოზიტიური შედეგის მიღწევაში დაწესებულების დამსახურებაზე მიუთითა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კოლეჯებმა დიდი განვითარება განიცადეს, რაც ზოგადად პოზიტიურ დინამიკას ასახავდა, სეგმენტი სწრაფად ვითარდებოდა და იმედს გამოთქვამდა, რომ დასაქმების ბაზარს მაღალკვალიფიციური კადრებით მოამარაგებდა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა დამატებით იკითხა, რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა დაწესებულებას გასულ წელს და როგორი იყო დასაქმების მაჩვენებელი. პასუხად დაწესებულებამ განაცხადა, რომ სულ 800-მდე სტუდენტმა დაასრულა სწავლა და საშუალოდ 75% დასაქმდა. მისივე თქმით, კურსდამთავრებულები მიღებული განათლებით დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040160	78	III	80
2.	ბუღალტერ-ტექნიკოსი	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 020155	77	III	80
3.	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040566	88	III	30
4.	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 040959	70	III	20
5.	თექის ოსტატი	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080382	82	III	24
6.	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080359	120	IV	24
7.	ფილამწყობი	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია,040682	82	III	30

8.	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080381	120	IV	28
9.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 080377	136	V	30
10	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია,080367	120	IV	16

5. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ერქვანისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ წარადგინა.

ექსპერტმა ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მოდულური პროგრამა წარმატებულად მოირგო და აუცილებელი სამუშაოები კვალიფიციურად ჰქონდა შესრულებული.

ექსპერტთა ჯგუფს პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონია. ვინაიდან დაწესებულება მოდულური პროგრამის დამატებამდე საგნობრივ პროგრამებს ახორციელებდა, იგი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის აუცილებელ ძირითად ნაწილს უკვე ფლობდა, დანარჩენის შესაძენად კი გარკვეული ოდენობის თანხა ჰქონდა გამოყოფილი.

პროგრამას 7 პროფესიული მასწავლებელი განახორციელებდა და 15 სტუდენტის მიღება იყო დაგეგმილი. დაწესებულებას წესრიგში ჰქონდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც.

დაწესებულება პროგრამაზე მისაღები სტუდენტების კონტინგენტის გაზრდას არ აპირებდა და მისივე წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროცესის არც ორ ცვლაში განხორციელება, ტრანსპორტის დეფიციტის გამო, ვერ მოხერხდებოდა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა საერთო საცხოვრებელი და სტუდენტები ცაგერიდან და ლენტეხიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის სათანადოდ აღჭურვილი ორი აუდიტორია გააჩნდა, რაც კონტინგენტის გაორმაგების შესაძლებლობას იძლეოდა. აქვე, ექსპერტის თქმით, დაწესებულებას საერთო ფართის დეფიციტის გამო სხვა პროგრამების დამატება და გაეროს მიერ გადმოცემული ლაბორატორიული ინვენტარის განთავსებისთვის ლაბორატორიების მოწყობა არ შეეძლო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული სწავლება კაბინეტური სწავლების პირობებში ვერ განხორციელდებოდა. ექსპერტის რეკომენდაციით, კარგი იქნებოდა თუ დაწესებულებას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაწესებულებისთვის გადაცემის შემთხვევაში მათი საერთო საცხოვრებლებად მოწყობის მიზნით გამოყენება.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა თუ რატომ იყო დაწესებულება ორ მისამართზე რეგისტრირებული. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 1991 წლიდან დაწესებულება საერთო საცხოვრებლის შენობაში ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, მოგვიანებით კი დღევანდელ ადგილას გადმოინაცვლა, ახლო მომავალში კი საავადმყოფოს შენობაში აპირებდა გადანაცვლებას.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, საერთო საცხოვრებლის შენობა რამდენად გამოდგებოდა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნით, შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო, ამიტომ 2 წლის წინ კოლეჯი ახალაშენებულ შენობაში გადავიდა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ერქვანისათვის" ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ერქვანს" (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბუღალტერ-ტექნიკოსი	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 020155	77	III	30

6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - მაყვალა დარსანიამ. დასაწყისში ექსპერტმა განმარტა ვიზიტის მიზანი. მათი მიზანი იყო მოდულური პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები (ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური, მეფუტკრე- მესამე საფეხური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი - მეხუთე საფეხური), დამტკიცებული დირექტორის 2015 წლის 13 აგვისტოს N 135 ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამებისა და თანდართული მოდულების გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა უზუსტობები, აღნიშნულის შესახებ ექსპერტებმა განუმარტეს დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მიღებული შენიშვნები ვიზიტის მსვლელობისას გაითვალისწინეს და წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. უზუსტობები ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებს სხვადასხვა სავალდებულო მოდულებში, რომელიც არ იყო თანხვედრაში ერთმანეთთან. საწარმოო პრაქტიკას რაც შეეხება, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. ჯეო ჰოსპიტალსი;
2. შპს - ბრეტი;
3. შპს - ჯეო-ტურიზმი.

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოგის მექანიზმები. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ამ მიზნით მემორანდუმები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია;
- ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი პრესტიჟი;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარი;
- ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტი;
- სსიპ - პროფესიული კოლეჯი ერქვანი;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით, დაწესებულება ფლობდა მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის ნაწილს (ფუტკრის ოჯახები, სკები, სკის სადგამები, სპეცტანსაცმელი, ციბრუტი, სასწორები, კომპიუტერები, პროექტორები, მერხები, სკამები, სამედიცინო ტახტი), დანარჩენ ინვენტარზე დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებები და წერილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან აღჭურვილობის შეძენაზე. სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენებოდა თანამედროვე ტექნოლოგიები: დაწესებულების ბალანსზე ირიცხებოდა 162 ერთეული კომპიუტერი, 14 ერთეული პროექტორი. დაწესებულებას ჰქონდა სასწავლო პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები, სახელოსნოები, მეცხოველეობის ფერმა, ვენახი, საფუტკრე მეურნეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი მცირე საწარმო, თანამედროვე და ტრადიციული ღვინის მარნები, რომლების ინტენსიურად გამოიყენება სწავლების პროცესში.

მოდულური პროგრამების განხორცილებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი ჰქონდა A, B და C ტიპის აუდიტორიები:

A ტიპის აუდიტორია გამოყოფილი იყო ექთნის თანაშემწის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის და მეფუტკრის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის);

B ტიპის აუდიტორია - წარმოადგენდა კომპიტიურულ კლასებს (ერთ კლასში იყო 20 კომპიუტერი, მეორეში - 15);

C ტიპის - მეფუტკრის და ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სახელოსნოებთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სატენდერო დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მეფუტკრის სახელოსნოს მშენებლობაზე წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 24 აგვისტოს, სამუშაოები დასრულდებოდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის ვადაში.

დაწესებულების წარმომადგენელთან (დირექტორის მოადგილე) ინტერვიურებით გაირკვა, რომ დაწესებულება ექთნის თანაშემწის პროგრამის განხორციელებას გეგმავდა ორ მისამართზე: კაჭრეთსა და დედოფლისწყაროში (სოფელი ჯაფარიძე). კაჭრეთში მდებარე სასწავლო კორპუსში რეაბილიტაციის სამუშაოების ტენდერი გამოცხადებული იყო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. აღნიშნული ტენდერი ითვალისწინებდა ექთნის პროგრამისთვის სახელოსნოს რეაბილიტაციას. ექსპერტმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის ტენდერი დასრულებული იყო და ხელშეკრულების მომზადება მიმდინარეობდა.

ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიურებით ირკვეოდა, რომ სოფელ ჯაფარიძეში მდებარე სასწავლო კორპუსში მიმდინარეობდა რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 15 სექტემბერი. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ. ექსპერტის განმარტებით, ეს დაწესებულებას ხელს არ უშლიდა დაეწყო პროგრამის ზოგადი მოდულებით განხორციელება, რის შემდეგაც უკვე სავალდებულო მოდულებისთვის იქნებოდა საჭირო გამართული მატერიალური ბაზის არსებობა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა სახელოსნოების შემცვლელი. ექსპერტის განმარტებით, რადგან ტენდერი 24 აგვისტოს დასრულდა და სარემონტო სამუშაოები განისაზღვრა 60 დღით, ხოლო დაწესებულება სასწავლო პროცესს იწყებდა ზოგადი მოდულებით, ეს იყო გარანტია იმისა, რომ პროცესი წარიმართებოდა სრული აღჭურვილობით.

საბჭოს წევრმა მოითხოვა განემარტათ, თუ არსებობდა მაგალითად ექთნის თანაშემწისთვის საჭირო აღჭურვილობა. ექსპერტის განმარტებით, ამ პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას ჰქონდა მთლიანი აღჭურვილობა - განსაზღვრული 20 სტუდენტისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ პროგრამისთვის შესყიდვები თითქმის დამთავრებული იყო დარჩენილი იყო მხოლოდ მულაჟები, რომლის შეძენასაც თვის ბოლოს აპირებდნენ (ამერიკიდან უნდა ჩამოსულიყო). საბჭომ ეს საკითხი პრობლემურად შეაფასა, რადგან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მატერიალური რესურსის დასრულებული ვარიანტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობითი გიდი	საქართველოს კულტურულ-მემკვიდრეობითი გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია112063	124	V	30
2	მეფუტკრე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია010353	82	III	20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური
1	ექთნის თანაშემწე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 090551	86	III

7. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ, სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ნატალია ბარათელმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაწესებულებას ხარვეზი არ ჰქონია. თითოეულ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პრორგამაში გაწერილი იყო მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამები შედგენილი იყო პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების ფარგლებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიულ კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შესაბამის დაწესებულებებთან: შპს „იუპიტერი“, შპს დაუნ-თაუნი“, სასტუმრო „ზიფი პალასი“, შპს „გლორია“, სასტუმრო „კრონ პალასი“, შპს „ორიონი“, სს სმარტ რითეილი“, შპს “MAF HYPERMARKETS GEORGIA”.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა განაცხადი სამ პროგრამაზე:

1) ბართენდერი (მესამე საფეხური) - მოცულობა 70 კრედიტი;
2) კონსულტანტ-გამყიდველი (მესამე საფეხური) - მოცულობა 70 კრედიტი;
3) მიღება-განთავსების სპეციალისტი (მესამე საფეხური) - მოცულობა 82 კრედიტი.

რაც შეეხება მატერიალურ რესურს, მოდულური პროგრამისათვის „კონსულტანტ-გამყიდველი“ სასწავლო ფართი ნაწილობრივ იყო აღჭურვილი, აუცილებელი მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობით. აღსანიშნავია, რომ პროფესიულმა კოლეჯმა „იკაროსი“ თხოვნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული პროგრამის „კონსულტანტ - გამყიდველის“ განსახორციელებლად შესაბამისი ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შეძენისათვის საჭირო თანხის 10901 ლარი და 20 თეთრის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის ბრძანებით (ბრძანება N 939 14.08.2015) აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კოლეჯის დირექტორმა წარმოადგინა ხელშეკრულებები სახელწიფო შესყიდვების შესახებ, პროფესიული პროგრამის „კონსულტანტ-გამყიდველი“ განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობის შესყიდვების დაწყებული პროცესის დასადასტურებლად. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების უმეტესობას თან ახლდა მიღება - ჩაბარების აქტები შეძენილი აღჭურვილობის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული:

1) სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების წესი;
2) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი;
3) ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი;
4) შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
5) საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების წესი, რომელიც შეთანხმებული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახურთან და დამტკიცებული იყო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ინვენტარით, რომელიც უნდა ეყიდა დაწესებულებას, რაც ასევე ექსპერტების დასკვნაშიც იყო ასახული. ექსპერტის განმარტებით, ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები თან ერთვოდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისთვის“ ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისთვის“ კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსისთვის“ მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „იკაროსს“ (ს/კ: 211357071) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბართენდერი	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 112067	70	III	80
2	კონსულტანტ-გამყიდველი	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 020256	70	III	80
3	მიღება-განთავსების სპეციალისტი	მიღება-განთავსების სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 112065	82	III	80

დღის წესრიგით განსაზღრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 14:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე